თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2465563

ნომერი: AR1382918

თარიღი : 01.03.2016

გაცემის თარიღი : 04.03.2016

გაცნობის თარიღი : 07.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემინი მამედოვი პ/ნ 01015001956
- თბილისი ნ.ქუმსიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01/03/2016 წლის # AR1382918 განცხადებით მომართა ემინი მამედოვმა და მოითხოვა სამსახურის 25.12.2014 წლის №1659679

ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებლის წარმოდგენილი ახალი განმარტებითი ბარათის შესაბამისად შეცვლა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25.12.2014 წლის №1659679 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, სტანისლავსკის ქ. #12–ში, შ.პ.ს. ,,აქტექ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #01.13.05.003.083) შეთანხმდა შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 26 დეკემბრიდან 2015 წლის 26 აპრილის ჩათვლით.
ემინი მამედოვის განმარტების თანახმად, საოფისე ფართად შეთანხმებულია 497.87 კვ.მ. ხოლო პროექტით გათვალისწინებული იყო 486.9 კვ.მ. ხოლო დამხმარე ფართად ბრძანებაში მითითებულია 63.71 და პროექტით გათვალისწინებულია 74.68 კვ.მ.
სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად ახალ განმარტებით ბარათში გამოვლინდა უზუსტობები, კერძოდ: შეთანხმებულ პროექტში მითითებული ექსპლიკაციის თანახმად დამხმარე ფართს წარმოადგენს 63,71 კვ.მ, ხოლო საოფისე ფართის მაჩვენებელი ვერ დგინდება.
შესაბამისად, სამსახურის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ხარვეზის გასწორების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ახალი განმარტებითი ბარათი ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩაათვალა დაავალოს განმცხადებელს, რომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური, დასაბუთებული განმარტებითი ბარათი, ყველა სათავსის შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი და გეგმები შესწორებული ფართებით და ექსპლიკაციებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს დეტალური, დასაბუთებული განმარტებითი ბარათი ყველა სათავსის შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი და გეგმები შესწორებული ფართებით და ექსპლიკაციებით.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 01/03/2016 წლის # AR1382918 განცხადება დარჩეს განუხილველი;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.